ქართველ მეფეთ დროის

ქართველ რესპუბლიკანელები

და

მეფე ერეკლეს წერილები ვენეციის

რესპუბლიკური მთავრობის წინაშე

ზ. ჭიჭინაძისა.

გამოცემული

ვარლამ ტყეშელაშვილის მიერ

თბილისი
სტამბა ტ. როტინიანცისა, გოლოვინ. პრ. 39
1917

ქართველ მეფეთა დროის ქართველთ რესპუბლიკანელები

I.

ჩვენში მოიპოვებიან ისეთ გმირნი, რომელნიც ამბობენ რომ XIX საუკუნის დამლევამდე ქართველებს ვითომც სრულიად არაფრის წარმოდგენა არა ჰქონიათ, რომ ქართველებს ამ დრომ-დე არც სტამბა ჰქონიათ, არც თეატრი, არც ჟურნალ-გაზეთობა, არც წიგნი და არც ბევრი სხვა ასეთი.

როცა იაკობ გოგებაშვილმა დაბეჭდა თავისი წერილი:

„რანი ვიყავით გუშინ" და აღნიშნა, რომ ქართველები იცნობ-
დენ რესპულიკანურ წესწყობილებასაო, ზოგიერთებმა იაკ.
გოგებაშვილის გამოკვლევას ეჭვის თვალით შეხედეს და გაზ-
ვიადებულად ჩასთვალეს. ქართველები რომ რესპუბლიკურ მა-
რთვა გამგეობას ჯერ ისევ XIX საუკუნემდე იცნობდენ, ამას
ამტკიცებს შემდეგი.

ევროპის ქალაქებში სწავლის მისაღებათ ქართეელთა შვი-
ლებმა ჯერ ისევ XVII საუკუნეში იწყეს წასვლა, სწავლობ-
დენ რომს, ნეაპოლს, პარიზს, ლონდონს, ბერლინს, ლიონს,
ტრიესტს, ვენას, ვენეციაში და სხვაგანაც.

1620 წ. რომის პაპის კოლეგიაში დაარსებულ იქმნა ქარ-
თული ენის კათედრა: 1627 წ. იქეე დაარსებულ იქმნა ქარ-
თული სტამბა და დაიბეჭდა ქართული წიგნები. პატრებს სა-
ქართველოში ბევრი რამ ცოდნა შემოჰქონდათ, მაგალითებრ:
მკურნალობა, სხვადასხვა სწავლა-მეცნიერება, ევროპიულის ენე-
ბის შესწავლა, ევროპის ერთა ისტორია და სხვა, რაც ცხადად
ასაბუთებს იმ გარემოებას, რომ ქართველებმა ევროპის ერთა
ავ-კარგიანობა წინათვე იცოდენ და არა XIX საუკუნის შემ-

დეგ ეღირსნენ ამას ისე, როგორც ეს ზოგიერთებს ჰგონიათ.

XVIII საუკუნის შემდეგ საქართველო საფრანგეთს ისე
უახლოდება, რომ 1714 წ. საქართველოდამ საფრანგეთში ლი-
უდოვიკ მეთოთხმეტესთან თავისუფლათ გაემგზავრა საბა ორ-
ბელიანი. ამის შემდეგ, თუმცა არა ხშირათ, მაგრამ ქართველე-
ბი მაინც მიდიოდნენ ხოლმე პარიზს და სწავლობდენ ფრანცუ-
ზების ცხოვრებას. ქართველნი ფრანგებს ისე დაუახლოვდენ, რომ
ზოგიერთებმა ვოლტერის ნაწერების კითხვაც დაიწყეს და თვით
საქართველოს ტახტის მემკვიდრე დავით ბატონისშვილიც ვოლ-
ტერიანელი იყო. პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძეც 1790 წ. პე-
ტერბურგში ცხოვრებდა, ერთ პანსიონში სწავლობდა, ამ გვარად,
ქართველებისათვის არც საფრანგეთის რევოლიუცია იყო უც-
ნობი და ქართველებმა იცოდენ მისი წარმოშობის მიზეზებიც.
ამას გარდა იცოდნენ საფრანგეთის ერის რესპუბლიკური მართ-
ვა-გამგეობის წესები და ამასთან ზოგი ქართველი ამისი დი-

დი პატივის მცემელიც იყო.

ისტორიით ვიცით, რომ მეფე ერეკლე ტახტის მემკვიდ-
რეთ თავის მეორე შვილს ლევანს ამზადებდა. ლევანი თურმე
გონიერი კაცი იყო, მასთან მამის დიდი მორჩილი, ეს იყო მე-
ორე შვილი. ამ ლევანმა საქართველოში შემოიღო მორიგი
ჯარის წესი. იგი ევროპიულად ოყო განათლებული, მას ასწავ-
ლიდნენ კათოლიკის მისიონერები. იცოდა ფრანგული ენაც.

გიორგი მეფემ ამაზედ შური ჩაიდო გულში და ბოლოს ის
მოახერხა, რომ მან ლევანი მოაწამვლინა. ამის სიკვდილის
დროს მეფე ერეკლეს უთქვამს შემდეგი: – „ახლა კი დაიღუპა
ჩემი ოჯახი და საქართველოს საქმეცაო“.

მეფე ერეკლე ლევანის სიკვდილმა დიდათ დააღონა. ამის
მსგავს თავის შვილებში იულონს ხედავდა. იულონი მართლაც
ჰგავდა ლევანს. ხოლო ეს იყო უკანასკნელი შვილი მეფე ერეკ-
ლესი, ამიტომ ამის გამეფება შეუძლებელი იყო. ერეკლეს შემ-
დეგ ტახტი გიორგის ეკუთვნოდა.

როგორც სჩანს, მეფე ერეკლეს გიორგი მეფე არც კი უყ-

ვარდა, ხოლო პატივს კი სცემდა მის გამო, რომ იგი იყო პი-
რმშო, ტახტის მემკვიდრე. ერეკლეს ასეთი შეხედულება გიორ-
გი მეფემაც კარგად იცოდა, ამიტომაც მოხდა ის უბედურე-
ბა, რომ 1795 წელს, მამადხანის ომის დროს, გიორგი მეფემ
თავის მამა, მეფე ერეკლეს, უღალატა. იმ დროს, როცა ქარ-
თველობა მტერთან ომობდა,მეფე გიორგი კი მაღორს ტყეში,
მეჯლისებს მართავდა და მამის ჯავრს ჰყრილობდა!

მეფე ერეკლემ შვილის ასეთი ვერაგობა კარგათ შეიტყო,
ისურვა ჯავრის ამოყრა. ამიტომ მან დასტოვა მეორე ანდერ-
ძიც, რომლის ძალითაც გიორგის შემდეგ სამეფოს ტახტი იუ-
ლონს უნდა მიეღო და არა გიორგის შვილს.

ამ საქმეებს დარეჯან დედოფალიც მფარველობდა. რადგა-
ნაც იულონი ამის ნაშობი იყო და ამასაც სურდა ესეთი ბედ-
ნიერება, მაინც ეს დედოფალი გიორგიზეც ბევრათ მაღლა
სდგას და ვინც ამას გაჰკიცხავს, იგი სცოდავს ისტორიის წინაშე.

მეფე ერეკლემ მეორე ანდერძი თუმცა საიდუმლოთ დას-

ტოა, ხოლო მაინც ცნობილ იქმნა მრავალთაგან. ამ გარემოებამ იმ დროის ქართელთ წარჩინებულნი გაჰყო რამოდინსამე ნაწილათ, ბოლოს მისგან დაიბადა დიდი ანარქია.

გიორგი მეფის მომხრენი უკმაყოფილონი იყვნე ამ მეორე ანდერძით.

მალულათ იბრძოდა მეფე გიორგის პარტია, მალულათ იბრძოდა იულონის პარტიაც. დარეჯან დედოფალსაც ჰყვანდა თავის მომხრენი და ესენიც იულონს უჭერდნენ მხარს. იყვნენ კიდევ სხვადასხვა ბატონიშვილების მომხრენიც.

იყვნენ ისეთნიც, რომელნიც ემხრობოდენ დავით ბატონიშვილს, გიორგის ძეს და ესენი ითხოვდენ, რომ გიორგის მაგიერ მისი ძე დავითი უნდა გამეფდესო. იყვნენ ისეთნიც, რომელნიც ალექსანდრე ბატონისშვილს ითხოვდენ მეფეთ, ზოგნი კიდევ ივანეს და ზოგიც სხვებს.

ამ დროს თფილისში სცხოვრობდა რუსეთის გენერალი ლაზარევი, რომელიც ყველა ამ საქმეს ყურადღებს აქცევდა,

ეს კიდევ ითხოვდა სხვა გვარ მოვალეობას 1798 წლის შემდეგ, რა კი მეფე ერეკლე გარდაიცვალა. ამიტომ გიორგი მეფეც 1782 წ. ხელშეკრულობის დაცვას ითხოვდა.

მეფე ერეკლეს სიკვდილის შემდეგ, რაც დრო გადიოდა, მით სამეფო საქმის მართვა-გამგეობა საშინელ სახეს იღებდა. ამ საშინელებამ გიორგი მეფის ავათმყოფობის დროს უფრო მკაცრი ხასიათი მიილო, გიორგის გარდაცვალების შემდეგ კი მეტის მეტი საშინელი და წარმოუდგენი ანარქია გამეფდა.

საქართველოს საქმე აირია სასტიკათ. ამ არევას მეტათ ცუდი შედეგი მოსდევდა. ამ მომავალს ბევრი დამტირებლებიც ჰყვანდენ და მხურვალეთ ყურადღების მიმპყრობნიც.

ამ დროს იყო სოლომონ ლეონიძე, თავის დროის კვალად კაცი გონიერი. ამასაც ჰყავდენ მომხრენი, რომელნიც იზიარებდენ ამ წმინდათ სახსენებელი კაცის აზრებს და ესენიც ითხოვდენ იმას, რასაც ეს ბრძენი კაცი ითხოვდა, მაგრამ სამწუხაროდ, ამ დროს ანარქიას, ანუ აღრევას ისე გაედგა ფესვი, რომ გონიერ პირთა დარიგებას ყურადღებას არავინ აქცე-

ვდა. ყველა თავისკენ იწევდა, ანუ თავის მომხრის გასამეფებლათ და ამას რა შემდეგი მოჰყვებოდა ამაზე კი არავინ ფიქრობდა.

ქვეყნის უბედურებამ საშინელს წერტილს მიაღწია. საქმე ისე აიწეწა, რომ ამ დროს საქართველოს მეფობა აღარც კი სუფევდა და ყველას ლაზარევის ეშინოდა. თვით დავით ბატონიშვილიც, რომელიც რუსეთის გენერალ ლეიტენატი იყო და ტახტის მემკვიდრე, ვერ ბედავდა გამეფებას. ამას ერთის მხრით იულონის მომხრეების ეშინოდა და მეორეს მხრით სხვების. ეს ელოდა ისევ რუსეთის ნება რთვით და ძალით გამეფებას და მაშინ მას ვეღარავინ ვერას დააკლებდა.

ასეთ ლოდინში იყო დავით ბატონიშვილი. სოლომონ ლეონიძე აწუხებდა დავითს და ავედრებდა დროით გამეფებას, მაგრამ დავითი ვერა ბედავდა. აი, ამ დროს, სოლომონ ლეონიძის მომხრეთა შორის გამოჩნდენ ზოგიერთი ისეთი პირნიც, რომელნიც ქართველთა მეფობას აღარ ითხოვდენ და ამის ნა-

ცვლათ რესპუბლიკური წესების დაარსებას ღაღადებდენ.

ასეთი პირნი იყენენ მრავლათ. ესენი მართავდენ კრებებს და აქ მსჯელობდენ ქვეყნის საქმეზედ და ქართველთა მომავალს ცხოვრებაზე.

ამათ კარგათ ესმოდათ თავის ქვეყნის მდგომარეობა და ამიტომაც ხმარობდენ ყოველ ნაირ სახსარს და ღონეს, რომ მათ ერის ცხოვრებას არ წარხოცოდა თავის სახე.

როგორც ვიცით სხვა და სხვა ისტორიულის და ზეპირი ცნობებით ასეთ პირთა რიცხვი ერთობ დიდი იყო. მათ რიცხვშია სოლომონ ლეონიძეც, როგორც თანაგრძნობელი. ამისი მომხრეთა რიცხიც თურმე ერთობ დიდი იყო. ასეთ პირთა თათბირი იყო გონივრული და მრავალ ნაირი, მაგალითებ, ესენი ამბობდენ:

ქართველ ბატონიშვილებს თითქოს აღარ სურთ მეფობა. რაკი მათ აღარ უნდათ ქვეყნის პატრონობა, მიბრძანდეთ იქით, საცა სურთ და ჩვენ მოუვლით ქვეყანას, განვაგებთ სამეფო საქმეებს. ფრანცუზები ჩვენზედ უკეთესნი არიან და ნასწავლნი, მაგრამ ძრიელ ხშირად ისინიც განაგებენ უმეფოთ, რეს-

პუბლიკით.

ჩვენც ვიზამთ ამას, გავაკეთებთ რესპუბლიკას და ვიქნებით უმეფოთ. იმედია, რომ ჩვენს თავს და ჩვენს ქვეყნის საქმეებს კარგად ჩვენც გაუძღვებით, რაკი ჩვენს ბატონისშვილებს აღარ სურთ მეფობა, რაკი ისინი ასე იქსაქსებიან, ამიტომ ჩვენ უნდა მოუაროთ ჩვენს ქვეყანასაო.

საქართველოს რესპუბლიკის მომხრენი, სხვათა შორის, იყვნენ შემდეგნი პირნი:

სოლომონ ლეონიძე, კაცი გონიერი.

დუცალ ბარათაშვილი ცნობილი პირი.

როსტომ ბეგთაბეგისშვილი, თავის დროის გონიერი კაცი.

ელიზბარ თუმანიშვილი, კაცი ცნობილი.

– 8 –

პატრი ნიკოლა. იყო მრჩველი და მთხოვნელი მღვიძრად ყოფნის. ამანაც აუწყა თურმე ერთ კრებაზედ ქართველთ ასე:

„ბატონებო, რაკი ბატონიშვილები ასე არჩევენ ქვეყნის საქმე, მეტი რა გზა არის, თქვენ ნუღარ აყოვნებთ ან დავითი გაამეფეთ ან იულონი, ან არა და ქმენით რესპუბლიკური მთავრობა და მოუარეთ ქვეყნის საქმეებს და ასე ნუ სტოვებთ, თორემ საქმე უფრო აირევა და ბოლოს ყველაფერი დაიღუპება. პატრი ნიკოლას ესეც დაუმატებია მეორე კრების დროს:

„ბატონებო, მე ვარ რომის ტახტის ერთგული და წმიდა პაპის მმოსავი. შეუძლებელია, რომ კათოლიკის მისიონერი რესპუბლიკის მომხრე ვიყო, მაგრამ რაკი ქართველთ ცხოვრება ასე წახდა, ამიტომ სხვის ხელში გადასვლას და საქმის დაღუპვას, მე თქვენთვის რესპუბლიკა მირჩევნია და დროით დაბოლოვეთ ეს საქმე და საქართველოს გაუჩინეთ თავისი პატრონი მმართველი და მფარველიო“.

ასე და ამ გვარად, პატრის სურვილის თანახმად სოლომონ ლეონიძემ დავით ბატონისშვილსაც ურჩია მალე გამეფება და საქმის არ დაყოვნება, მაგრამ დავითმა მაინც ვერ გაბედა. სხვათა შორის დავითს ასეთი სიტყვა მოახსენა ალექსანდრე მაყაშვილმა:

„ბატონიშვილო და ბიძავ! ნუ ჰკარგავ მეფობას, დავიცვათ მეფობა და განვამტიკიცოთ. მიბრძანეთ და გამოუცხდებ რუსის ჯარსა წარვიდეს რუსეთად, და თუ არა იქმს რუსის გენერალი, ადვილია აქედამ განდევნა. დავიცვათ მეფობა და განვამტკიცოთ მეფობით სახელი ჩვენი.

დავითს ძრიელ შეეშინდა ასეთი სიტყვის. მან ეს ამბავი გენერალ ლაზარევს აუწყა. ამან – მინისტერ კოვალენსკის. მერე ამაზედ შეკითხვა მისცეს ალ. მაყაშვილს.

რესპუბლიკის დაარსების ამბავმა ოთხსავ კუთხივ მოიცვა ხალხი და მასზედ ბევრს ალაგას ლაპარაკობდენ. ამ გარემოებამ დავითი შიაფიქრიანა და ამან ერთ ყრილობას ასეთი წინადადებით მიმართა: „ამ ჟამათ ზოგიერთნი: როსტომ ბეგთაბეგიშვი-

ლი, ელიზბარ თუმანიშვილი და დუცალ ბარათაშვილი შეგიყრიათ და რესპუბლიკის თავათ გაგიკეთებიათ, აბა სად მივიდით, ეს თქვენს კეთილშობილებისთვის დიდად აუგია და სათაკილო“.

სოლომონ ლეონიძე ეახლა დავით ბატონისშვილს და დარიგება მოახსენა მაგრამ დავითისაგან ასეთი უარი მიიღო: „თუმცა ქართველებს მეფე გვყოლია, მაგრამ ხან ბერძნების ხელში ვყოფილვართ, ხან ოსმალთა და ხან სპარსთა. ახლა მეფე თეიმურაზმა და მეფე ერეკლემ და მეფე გიორგიმ ეს ქვეყანა რუსეთის ხელმწიფეს მისცა. ნუ აჩქარებულხართ, როცა იმპერატორის ნება და ბრძანება მოვა, თქვენც იმაზედ დადექით. რესპუბლიკის მეთაურნი და მომხრენი ამაზე გაბრაზდენ და დავითი განკიცხეს.

დავითს ეხლა სოლომონ ლეონიძე და ესაუბრა პირუთვნელად, მაგრამ მაინც ვერას გახდა. ამ საუბრის გამო პ. იოსელიანი „მეფე გიორგის ცხოვრება“-ში ასე იხსენიებს სოლ. ლეონიძეს: „ვუწოდებ მას პატიოსნებასა გამო მაღლისა დროთა მათ ფაბრიციოდ ქართველთა, და ვითარცა მტკიცე და შეურყეველი იქმნა ნამდვილ ქართველთა ერისა და ისტორიის კატონად.“

არის ცნობა, რომ სოლ. ლეონიძეზედ უფრო ძლიერი

წრე დუცალ ბარათაშვილს შეუდგენია. ეს ასე მძლავრათ ცდილობდა, რომ მეფე ერეკლეს ანდერძის ძალით ან დავითი გამეფებულიყო და ან იულონი. თუ ესენი არა, მაშინ რესპუბლიკა გავაკეთოთო“.

რესპუბლიკური წყობილების შესახებ სხვაც ბევრი წვრილი ამბებიც არი დარჩენილი, მაგრამ ფაქტის აღსანიშნავად ჩვენ ესეც ვიკმარეთ, ვინაიდამ აქედანაც ნათლად სჩანს, რომ ქართველებმა რესპულიკური წესები რუსეთის იმპერიასთან დაკავშირებამდე იცოდნენ.

ქართველებმა თვით საფრანგეთის რევოლიუციის ამბებიც

კარგად იცოდნენ. რევოლიუციას მაშინ ქართველი ხალხის აღრევას უწოდებდენ.

მეფე ერეკლეს და გიორგისაც ახლდენ კათოლიკის პატრები და დაწვრილებით მოუთხრობდენ მეფეებს საფრანგეთის რევოლიუციის ამბებს, რესპუბლიკურ მთავრობის დაარსებას და მის კანონებს.

ნაპოლეონ იმპერატორის გამეფების შესახებ ერთხელ მეფე გიორგიმ პატრს ნიკოლას კითხვები მისცა. პატრმაც მოახსენა ბევრი რამ, რადგანაც ეს საუბარი საყურადღებოა, ამიტომ ამასაც იოსელიანის სიტყვით მთლად მოვიყვანთ, რაც ცხად ჰყოფს იმ გარემოებას, რომ ქართველნი საფრანგეთის რევოლიუციის ამბებს და რესპუბლიკურ გამგეობას ადრევე იცნობდენ და არა XIX საუკუნის შემდეგ, როგორც ეს ზოგიერთებს ჰგონიათ.

მეფე გიორგის შვილი დავითი რუსეთში გაიზარდა, იქვე მიიღო სწავლა, იყო რუსის გენერალ ლეიტენანტი, იცოდა ფრანგული ენა და იყო ვოლტერის სწავლის მიმდევარი. რუსეთიდან საქართველოში რომ დაბრუნდა, თან წამოიღო ვოლტერის სურათი და კედელს ჩამოკიდა. ამასთან დავითი იყო ეკლესიურ წესებზე გულ აცრუებული იყო. ამაზე მეფე გიორგი დიდად სწუხდა და დარდობდა. სწუხდა შვილის ურწმუნოებაზე. ურწმუნოების გამო მეფე გაკვირვებული იყო და ვერ წარმოედგინა ამის გარემოება, თუ საფრანგეთში რამ გამოიწვია ეს

პირობები.

ერთხელ მეფეს პატრი ნიკოლა ეახლა. მეფემ ურწმუნოების გარემოება ვეღარ მოითმინა და პატრ ნიკოლას საუბარი გაუმართა:

„პატრი ნიკოლა! სად არის ახლა დიდი სარდალი ბონაპარტე.

პატრი, ებრძვის რუსთა და კეისართა, ესენი სცდილობდენ დაიცვან ფრანგისტანში ქრისტიანობა. არღა მუნ, აგერ მრავალი წელიწადია არც წირვა, არც ლოცვა, არც ქორწინება,

არც მღდელი და ეპისკოპოსი; 25 მილიონი წარმართათ არიან გადაქცეულნი.

მეფე გიორგი, ვინ ქმნა ესე?

პატრი ნიკოლა. უკეთურთა მწერალთა ვოლტერმან და სხვათა.

მეფე გიორგი. ვოლტერი! მეგობარი ჩემის შვილის დავითისა, ჩემი მემკვიდრისა, ვაი შენს გიორგის, რუსეთში მყოფმან ჩემმა შვილმა შეისწავლა მისი უსჯულო სწავლა, მოიტანა აქ მისი სახე, რომელიც სამართლათ დავწვი ცეცხლსა, ღმერთი წარუმართებს რუსთა და კეისარსაც, თვით მაცხოვარი შეეწევა მათ, ქრისტეს გარეთ რაღაა კაცი? უკეთესსა ვინ გვასწავებს, მეორე არიოსი ყოფილა ის შეჩვენებული.

პატრი. ღვთით პაპისა ლოცვით მტერი ვერ გაიმარჯვებს! მეფეი ეკლესიასა ქრისტესა ჩემო, პატრო! ვერა სძლევს ბჭე ჯოჯოხეთისა.

პატრი. მრავალი უნახავსთ დევნა ქრისტიანეთა.

მეფე. დიოკლიტიანემან, ნერონმან და ივლიანემ და სხვათა ვერა ჰსძლიეს ქრისტესსა, რასა იქმს ვოლტერი სიტყვებითა! თვით ბონაპარტე რაღაა პატრო?

პატრი. დიდათ მორწმუნე კათოლიკეა, აღზრდილი ფრანგისტანში, კორსაკანელი თუ იქნება, ჰფიქრობს აღადგინოს ტრაპეზი ქრისტესი. პატივს სტემს რომის პაპსა წმიდასა.

მეფე. ღმერთმა წარუმართოს და დაუთურგნოს მტერნი და განუბნიოს იგინი. ჩვენ ვლოცულობთ მათთვის.

პატრი. აგერ 8 წელია, რაც უკეთურთა ფრანგისტიელთა დაფლეს მიწაში ჯვარი და სახარება ქრისტესი.

მეფე. წყეულიმც არის მათი სახელი, ღმერთო და მაცხოვარო ჩემო, შენ აპატივე შვილს ჩემსა დავითს დანაშაული მისი. ნუ ჰკითხავ მას, შენ მოაქციე ჭეშმარიტსა გზაზედა და დაამკვიდრე შენს სიყვარულზედ. ამინ, ამინ, რა იქნება მეფე არა მორწმუნე ქრისტესი, მოძულე მღვთისა დედისა, წმიდათა და წამებულთა. ვაი შენს მეფეს გიორგისა, გამოიყვანე ცოდ-

ვიდან, ამცენ, შენ უფრო დაგიჯერებს, პატრო, შეაყვარე ქრისტე შვილსა ჩემსა,გამოიყვანე ცოდვიდამ, თორემ ვერ იმეფებს. დაჰკარგავს ტახტსა და სამეფოს ღვთის მშობლის წილხდომილსა.

კვალათ, ანუ შემდეგაც მეფე გიორგი ავედრებს პატრ ნიკოლას, ეხვეწება, რომ ამან გავლენა იქონიოს დავითზედ. ამ გვარათ, XVIII საუკუნის ბოლოს ქართველთ შორის ხშირად იცოდნენ საუბარი საფრანგეთის რევოლიუციის შესახებ, რესპუბლიკური მართვა გამგეობის და იცნობდენ ვოლტერის მწერლობასაც.

მეფე ერეკლეს წერილები ვენეციის რესპუბლიკის წინაშე.

ისტორიულის ცნობებით ვიცით, რომ 1781 წ. მეფე ერეკლემ ევროპაში იოსებ რომის იმპერატორთან ერთი პატრი გაგზავნა, თან წერილი გაატანა და იმპერატორს დახმარებას სთხოვდა. ამავე პატრს წერილები გაატანა ვენეციის მთავრობის წინაშე და ამასთანავე პირადი თხოვნაც.

საუბედუროთ, მეფეს თხოვნა ვერ აღუსრულდა, მგზავრობის დროს პატრს შავის ზღვით მოუხდა სიარული, შავის ზღვის ღელვის მეოხებით პატრი ზღვაში დაიხრჩო და მთლად მისი ისტორიული ცნობები, მეფის თხოვნა და ბევრიც სხვა რამ მასალა ზღვაში დაინთქა. პატრის დაღუპვის ამბავი მეფეს დროით მოხსენდა, დიდად ეწყინა საქმის ასე უბედურად აღსრულე-

ბა, მაგრამ რაღას უშველიდა, მიწერ-მოწერა და თხოვნა შემ-
დეგ ისევ განაახლეს.

მეფის თხოვნით 1782 წ. მეორედ გაგზავნილ იქმნა პატ-
რი მავრო ვენეციის მთავრობის, ანუ სენატის წინაშე,სადაც
იმ დროს ხშირად იკრიბებოდნენ იქაურნი დიდებულნი და სა-
ხელმწიფოს წარჩინებულნი. ჩვენ აქამდის მხოლოდ ის ვიცო-
დით, რომ 1782 წ.მეფის ბრძანებით ევროპაში გაგზავნილ იქ-

მნა პატრი მავრო, მაგრამ ისკი არ ვიცოდით, თუ იგი რად წა-
ვიდა იქ, რა წერილები და პირადი თხოვნა წაიღო, ქართველ-
თაგან რა ჰქონდა დავალებული ვენეციის განათლებულთა და
წარჩინებულთა წინაშე საშუამდგომლოდ. დღეს ჩვენ შემთხვე-
ვით გავიცანით მეფის ერეკლეს ორი წერილი, რაც ცხადად
ააშკარავებს ამ გარემოების პირობებს და პატრი მავროს ევროპა-
ში განსვლის მიზეზს. ამიტომ აქ მცირედ პატრ მავროს შესა-
ხებაც ვიტყვით რასმე.

პატრი მავრო ყოფილა ტომით უცხო, მაგრამ საქართვე-
ლოში დიდხანს უცხოვრია, ქართული ენა კარგათ სცოდნია,
მასთანვე მწიგნობრობაც. დიდი გულშემატკივარი ყოფილა
ქართველთ და თითქმის მტკიცე ბურჯი სოლომონ მსაჯულის.
პატრის ნიკოლასი და ქართველთა სხვა წარჩინებულთა კაცთა,
რომელთაც ქართველთა მომავალის ცხოვრების დიდი შეგნება
ჰქონდათ და თითქმის ნათლად მხედველნიც იყვნენ მყობადისა.
მეფე ერეკლეს კარგად სცოდნია პატრის ასეთი ღირსება და
ამიტომაც გაუგზავნია იგი ევროპაში.

რამდენად ყოფილა პატივცემული პატრი და მეფის წინა-
შე დამსახურებული, ეს სჩანს თვით აქ დაბეჭდილის წერილიდ-
განაც, სადაც მეფე პატრს მავროს ანდობს და ნებას აძლევს,
რომ მან ილაპარაკოს იქ ქართველ მეფის სამაგიეროდ სადაც-
კი საჭიროთ დაინახავს, ითხოვოს ის, რასაც სასარგებლოდ მი-
იჩნევს. სამწუხაროდ, ჩვენ ამ პატრის ცხოვრების შესახებ ბევ-
რი არა ვიცით რა, ნამეტნავად ევროპაში წასვლის შემდეგ,
ცნობები ისეა დაჩრდილული, რომ თვით ისიც კი არ ვიცით,
თუ ეს მაღალის გონების მოძღვარი როდის მობრუნდა საქარ-

თველოში და ან რა პასუხი მოუტანა მეფეს არა მგონია, რომ ამ პატრ მავროს მოგზაურობის შესახებ და 1781 წ. შავ ზღვაში დაღუპულის პატრის ცხოვრების იმ დროის „Mision“-ში რამე ცნობები არ იყოს დაბეჭდილი. იმედია, რომ დრო და შეერთებული შრომა ბევრს რასმეს აღმოაჩენს.

ვენეციაში (იტალია) არის მთავრობის ერთი ძველი არხი-

ვი, რომლის ოთახებისა და დარბაზების რიცხვი ოთხასზე მეტი იქმნება. ამ უდიდესს შენობას სახელათ ეწოდება „archivio di stato“. დარბაზთა შორის არის ერთი დიდი სახელდობრ, დიპლომატიური დარბაზი, ანუ დარბაზი მარგარიტა, ეხლანდელის დედოფლის სახელობაზედ. ამ დარბაზში, სხვათა შორის, გამოფენილია რამდენიმე წერილი და ცნობა მეფე ერეკლეს შესახებ, წერილები ზოგი ქართულად არის ნაწერი, ზოგი თათრულად, იტალიურად პატრის მავროსაგან ნათარგმნი, აი წერილები, რომლებიც გადმოწერილია სიტყვა სიტყვით ქართველის კათოლიკის მხითარისტის დიონოსე კალატოზიანისაგან, ვისაც ჩვენ წრფელი მადლობა უნდა ვუძღვნათ, რომ მათ შორის უაღრესად განცხოვლდეს საქართველოს ერისა და წარსულის ცხოვრების ცნობათა პატივის ცემა. ამის იმედი მით უფრო გვაქვს, რომ ეს მხითარისტი შთამომავლობით ქართველია და ქრთულ წერილების კითხვაც იცის. აი ესეც წერილები:

„განათლებულთა მაგათ დიდთა ვენეციის ქალაქსა შორის შემძლებელთა შეკრებულთა.

„მრავლის ჟამიდგან დაგვჭირდა რათამცა ევროპის თვითმპყრობელთა, ყოვლად მაღალთა კეისართა და ყოვლად მოწყალეთა დიდებულთ ხელმწიფეთა და მეფეთ, და უგანათლებულესთა მაღალთა შეკრებულებათ ვაწყინით თავი და დამჭირნეცა ჩვენი მოვახსენოთ და რათამცა ჰყონ წყალობა, მაგრამ აქამეომდე მძლავრთა მტერთაგან ისმაიტელთა, და სხვათაცა წინააღმდგომთაგან ვერ მივიღეთ ჟამი.

„და არა დროსა შინა ვეწიენით მოწყალებათა ღვთისათა, და მივიღეთ ესდენი ბედნიერებ, და აწ დროსა ამასა გაწყინეთ და განათლებული გონება თქვენი ნუ უმე შევწუხეთ და ვით-

ხოვ თქვენის განათლებულებისაგან, რათა ახლა ღვთისა წყალობით აღიძრათ და რომელიც ამ პ ა ტ რ ი ს მ ა ვ რ ო ს ა გ ა ნ დაბარებული აქვნდეს წერილით თუ ზეპირათ უნაკლულოთ ჩვენად მოიხსენიოთ და რა გვარათაც ჩვენის სათხოვრის აღსრულება მოგახსენოთ, ის აღგვისრულოთ.

– 15 –

„ჩვენ თქვენს განათლებულებასთან სიშორით არაფერი სამსახური არა მიგვიძღვის რა, მაგრამ ქრისტიანობისათვის და ერთა შეწუხებულთათვის იღვაწეთ და ივახსეთ, ღვთისა თხოვილი ჩვენი აღგვისრულოდ და ესდენ უმრავლესთა შეწუხებულთა ქრისტიანეთა გული თქვენთვის მოიგევით, განათლებულებისა მრავალნი თქვენიცა საქმენი წარგიმართოსთ ღმერთმან ყოველისა შინა.

„რადგანაც აზიის ერთ კერძოდან ევროპაში ვსახეთ შეწევნად, თქვენცა რომ წყალობა შეგიძლიანთ ჩვენ და ჩვენს ერზე თქვენიცა საკადრისი გვგონია, რომ ჩვენი თქვენთან მოხსენებული თხოვილი აღგვისრულოთ. ვეკრძალვით თქვენს განათლებულებს ამდენს თავის წყენასა, ვითხოვ, რომ ეს მოხსენება თქვენს განათლებულს გონებას არ შესწყინდეს.

განათლებულებისა თქვენისა უერთგულესი მეფე ქართლ-კახეთისა და სხვათა.

ერეკლე.

დაიწერა ქალაქ ტფილისს,
ოქტომბრის 18 დღესა 1782 წ.“

ამ წერილში გამოთქმული თხოვნა შემდეგს, მეორე წერილში კარგად არის გამორკვეული. ამ წერილიდგან ბევრი რამ ღირს შესანიშნავი ცნობა გამოირკვევა ჩვენის წარსულათ დროთა ქართველთა ცხოვრების შესახებ. აი ეს მეორე წერილიც:

„მათ განათლებულთ დიდსა ვენეციის შეკრებულთა“.

„ქ: თუმცა ამ მოხსენებისათვის დიდათ ვმორცხვობთ და ვეკრძალვით, მაგრამ რომელიც ჩვენის ქვეყნის მწუხარება და შეჭირვება სხვას არზით მოგვიხსენებია, ის მაკადნიერებს ჩვენის სათხოვრის აზრი ეს არის, რომ ერთის პოლკის ჯარის ჯამაგირი გვებოძოს, რომ კაცი ჩვენ ვიშოვოთ და იმ ჯამაგი-

რით ის ჯარი გავაწყოთ ევროპის რიგზე, რა რომ მტერი ამ ჯარის რიგს საბოლოდ რომ სცნავს ვერას დროს ჩვენს მტრობას ვეღარ ბედავს.

მეფე ქართლ-კახეთისა და სხვათა

ერეკლე

– 16 –

ოქტომბრის 18, წელსა 1782“.

წერილების დაწეროს რიცხვიდგან სჩანს რომ ორივ ეს წერილი ერთ დღეს დაუწერიათ, თვით წერილების მეორე გვერდზედ მიწერილია იტალიურს ენაზედ თარგმანიცა, რომელიც ვენეციაში გადაუთარგმნია სხვა პატრებს მთავრობის თხოვნით. ჩვენ ვიცით, რომ ვენეციაში, მეფე ერეკლეს გარდა, სხვა მეფეებსაც ჰქონიათ ხოლმე მიწერ-მოწერა.

აქ საყურადღებო ერთი ის არის, რომ 1782 წ. მეფე ერეკლემ რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინა მეორეს ხელშეკრულობა ტრაქტატი დაუდო და რუსეთის მფარველობის ქვეშ შევიდა, ამიტომაც ამ დროდამ მეფე ერეკლეს ნება აღარ აქვნდა, რომ რუსეთის იმპერატორის ნება დაურთველათ ევროპის ან აზიის რომელიმე სახელმწიფოსთან ლაპარაკი დაეწყო. მიუხედავათ ამის მეფე ერეკლე სწორეთ იმ დროს, როცა იგი რუსეთის მფარველების ქვეშ შევიდა, მაშინ მან ევროპის სახელმნიფოებსაც მიმართა დავალებით.

ზემოთ დაგვავიწყდა შემდეგ პირთა მოხსენება, რომელნიც აგრეთვე იყენენ რესპუბლიკანელები, ამათ აქ მოვიხსენებთ:

ჭაბუა ორბელიანი, კაცი მწიგწონობარი და ცნობილი.

იოანე ორბელიანი, კაცი ფილოსოფი თავის დროის კვალათ.

დუცალ ბარათაშვილი, კაცი ცნობილი და ხელოვანი.

გიორი მაყაშვილი, ცნობილი პირი და ნათესავი მეფისა.

ალექსანდრე მაყაშვილი, კაცი მწიგნობარი და კარგათ ცნობილი.

ქართველთ ძველი რესპუბლიკანელები

შეიძლება, ეს ამბავი ბევრმა არც კი დაიჯეროს. ამის მაგალითები ქართველთ კოსმოპოლიტებში ერთობ ხშირია და უხვი, ამიტომ აქ ჩვენი ამბის აღწერას შორიდან დავიწყებთ, რომ ეჭვი არვის ჰქონდეს.

ქართველსაო ძველათ, ანუ ბიზანტიელთა დროს, მათ

მფარველობის ქვეშ იყო. ბიზანტიის დაცემის შემდეგ ხან სპარსთა გავლენის ქვეშ იყო, ხან ოსმალეთისა, ამიტომაც ქართველი მეფენი იწოდებოდნენ, ვალი გურჯისტანი, ანუ ქართულათ გამგე-მეფე საქართველოსი.

მეფე ერეკლემ ეს არ ინდომა, ოსმალ სპარსეთთან მოსპო კავშირი და 1782 წ. რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინა მეორის მფარველობას შეეკედლა. ამისათვის დაწერილ იქმნა ტრაქტატი.

ამ ტრაქტატის პირობით საქართველოს სამეფო რუსეთის მფარველობის ქვეშ იყო. 1782 წ. რუსეთის იმპერიას საქართველოც უნდა დაეცვა.

საქართველოს სამეფო ამ სახით დაშთება საყოველთაოდ და რუსეთის მფარველობის ქვეშ საქართველოს სამეფო არ მოასპობა, არამედ დაცული იქნება იგი ყოველთვის უვნებლად.

რუსეთის მთავრობამ საქართველოში უნდა შამოიყვანოს 6000 ჯარისკაცი და ამით უნდა დაეცვა საქართველო. ეს ჯარი აქ უნდა დარჩენილიყო იმ დრომდე, ვიდრე ქართველთა სამეფოც მოაგვარებდა და თავის საკუთარ ჯარს დაიწესებდა.

თბილისში დაარსდა ახალი ზარაფხანა, სადაც სჭრიდნენ ოქროს, ვერცხლის და სპილენძის ფულს. ფულს ერთ მხარეს ქართული წარწერა ჰქონდა და მეორე მხარეს რუსული. დაარსდა სამხედრო სკოლების გაფართოვება, თოფხანა და დაუწყეს ქართველთაგან საყოველთაო ჯარს მოკრება. ასეთი ჯარის მოკრეფა 1770 წ. იქმნა შემოღებული ლევან ერეკლეს ძე ბატონიშვილისაგან.

1798 წ. როცა მეფე ერეკლე გარდაიცვალა, მის მაგიერ ქართლ-კახეთის მეფეთ ტახტზედ, რუსეთის იმპერატრის თანხმობით გიორგი მეფე ავიდა.

გიორგი მეფე უძლური მეფე იყო, ამას მეფობა და გამგეობა ძლიერ უძნელდებოდა. ამიტომ მან განიძრახა თავის სამეფო რუსეთის იმპერიასთან დაკავშირება. ამ საქმეში მას დიდათ აქეზებდა გარსევან ჭავჭავაძე და ზოგიც სხვანი.

უმეტესთა კი გიორგი მეფე რუსეთს უერთებდა უფრო მი-

ტომ რომ გიორგი მეფის სიკვდილის შემდეგ სამეფო ტახტი უნდა მიეღო იულონ ბატონისშვილს, გიორგის ძმას და არა გიორგის შვილს, დავითს, რომელიც რუსეთში იყო გაზრდილი და რუსეთის გენერალ ლეიტენატი გახლდათ.

ეს გარემოება დავითმაც იცოდა, რადგანაც ამის ანდერძის წერილი მეფე ერეკლესაგან იყო დატოვებული; ამ წერილზე გიორგი მეფესაც ეწერა ხელი, რაც გიორგი მეფეს დიდათ აბრაზებდა და სძულდა თავის მამის ასეთი ანდერძის დატოვება.

ამიტომ ქართველებში, გიორგი მეფეს საქართველოს გამსყიდავათ სახვენ. ეს არ არის მართალი. ამაში გიორგი არ არის დამნაშავე, არამედ გარსევან ჭავჭავაძე და ამის ამხანაგები. ამ ამბავს ჩვენ შემდეგ დავასაბუთებთ.

საქართველოს დაღუპვა და გაყიდვა მოხდა გარსევან ჭავჭავაძის მოხერხებით. თვით ამ პირმა აღიარა თავის პირით სიკვდილის დროს, გიორგი მეფის შვილები და შვილის შვილები დაიბარა თვისთან და ბოდიში მოიხადა ასე:

მე გიღალატეთ თქვენა, მე გავყიდე საქართველო და ამიტომ ვითხოვ მოტევებასა. ეს ბოდიში ნამდვილად შემოწმებულია ანდრინდელი პროფესორის დავით ჩუბინაშვილის ბიძისაგან, რომელიც იმ დროს იქ ყოფილა და გარს. ჭავჭავაძის სიტყვები თავის ყურით გაუგონია. გარსევანის საქციელს „კალმასობაც“ ასაბუთებს.

საქართველოს გაყიდვა აი როგორ მოხდა რუსეთის სახელმწიფო პირთაგან და ნამეტურ ქართველ ელჩებისა და რუსის გენერალ ლაზარევისაგან.

გიორგი მეფის სიკვდილის შემდეგ ქართველ-კახეთის ტახტზედ უნდა ასულიყო გიორგის უფროსი შვილი დავითი. ვიდრე ეს მოხდებოდა, მინამ გენერალ ლაზარევის რჩევით საქართვე-

ლოს ადგილები რუსეთის გუბერნიებად იქმნა გამოცხადებული და მით საქართველო რუსეთის იმპერიას დაუკავშირდა. ამით დარღვეულ იქმნა 1782 წ. ტრაქტატი.

ვიდრე საქართველოში რუსის მთავრობის ძალა დამყარ-დებოდა, საქართველოში ზოგი ქართველი ფხიზლათ იქცეოდა

და რუსის მთავრობისაგან დაუყოვნებლივ ითხოდენ 1782 წლ. ტრაქტათის შესრულებას, საქართველოს მეფობის არ მოსპობას და დავითის, ანუ იულონის გამეფებას.

ამისთვის მთელმა ქართლის ერმა მიმართა ალექსანდრე იმ-პერატორს და სთხოვა მეფე ერეკლეს ანდერძით კვალათ საქარ-თველოს მეფობის არ მოსპობა და დავითის ან იულონის გამე-ფება. ასეთისავე დავალებით მიმართა სოლომონ იმერთა მეფემ იმ დროს, როცა პავლე იმპერატორის შემდეგ ალექსანდრე იმ-პერატორი გამეფდა. ყოველივე ასეთი მიმართვანი ალექსანდრე იმპერატორის წინაშე უმნიშვნელოთ რჩებოდა, ვინაიდგან გარსე-ვან ჭავჭავაძისაგან საქმე ქვეყნის გასყიდვით იყო შესრულებული. ამ დროს თბილისში გაჩნდა ქართველთა სხვა და სხვა პარტი-ები. აქ იყო დავით ბატონისშვილის პარტია, იულონ ბატონი-შვილის, სოლომონ ლეონიძის. ბოლოს ს. ლეონიძის პარტიას სხვებიც შეუერთდნენ. იყო კიდევ დარეჯან დედოფლის პარ-ტია და ასევე კიდევ სხვების.

ყველა ამ პარტიების მიზანი იყო რუსეთის წინაშე მეცა-დინეობა და მით 1782 წ. ტრაქტატის პირობის დაცვა, საქარ-თველოს მეფობის არ მოშლა, ტახტზედ დავითის, ან იულო-ნის დამტკიცება. გიორგი მეფის სიკვდილის მესამე დღეს თბი-ლისში მოხდა ქართველთ კრება. ამ კრებაზედ ზოგი დავითის გამეფებას ითხოვდა, როგორც გიორგის მემკვიდრის და ზოგი კი მეფე ერეკლეს ანდერძის არ მოშლას და იულონის გამეფე-ბას მოითხოვდა. ამ პარტიების ბრძოლა დიდად განცხოელდა. მალე მოხდა მეორე კრებაც. ამ კრებას დაესწრო ფრანგის პატ-რი ნიკოლა. ამან მოახსენა კრებას შემდეგი სიტყვა რჩევით:

„ბატონებო, გონებას მოდით, შეიტყეთ ვითარება სამეფო-სი, შფოთმა და განხეთქილებამ გაიდგა ფესვი. აქ მეფობა თით-

ქოს აღარავის უნდა, ყველა ეჭვის თვალით უმზერს და ამბობს, რომ მეფე გიორგის დავალებით, რუსნი აღარავის გაამეფებენო. საქართველო რუსეთს დაუკავშირესო. ასე ლაპარაკობენო თვით ტახტის მემკვიდრენიც.

გეუწყებოდათ ბატონებო, რომ მემკვიდრეებმა დაანებონ

ტახტს თავი, აიღონ ტახტისაგან ხელი. ჩვენ გამოუჩენთ მეფეს, ბატონებო, ფრანცუზნი თქვენზედ ძლიერნი არიან, ჭკვიანნი, ნასწავლნი და ყოვლითვე სრული. მაგრამ ხშირად მეფე არა ჰყავთ, უმეფოდ განაგებენ, რესპუბლიკით. ჰყავით თქვენც ასე, ჰქმენით რესპუბლიკა და ეგენი წავიდნენ იქით, საითაც სურთ“.

პატრის აზრი ბევრს მოეწონა და ეს ცნება განაბნიეს საქართველოში და მოითხოვდნენ, რომ რაკი საქმე ასე თავდება, ამიტომ ჩვენ მეფობა აღარ გვინდა, პატრის ნათქვამის თანახმად ჩვენ რესპუბლი კას დავაწესებთ და უმეფოდ განვაგებთ ქვეყნის საქმეებსო.

ამ აზრებმა გაიტაცა ს. ლეონიძე, დ. ბარათაშვილი, გ. მაყაშვილი, ჭ. ორბელიანი, ს. ბეგთაბეგისშვილი, იოვ. ორბელიანი და ბევრიც სხვანი. ამ დროს საქმე დიდად მწვავდებოდა, რუსნი ძლიერდებოდენ და საქართვვლოს საქმეც იშლებოდა. ამ დროს დავით ბატონისშვილთან მივიდა მისი ახლო ნათესავი გ. ბარათაშვილი და აუწყა დავით ბატონისშვილს შემდეგი:

ბატონის შვილო, მეფობას ნუ ჰკარგავ, დროით გამეფდით. თქვენ რუსებს ნუ უცდით, უბრძანეთ, რომ აქედან რუსის გენერალი ლაზარევი თვის ჯარით უკან დაბრუნდნენ, თუ ამას არ იქმს იგი, მაშინ ჩვენ ვიცით საქმე და ძალით გავაძევებთ. დროით გამეფდით, თორემ დაკარგავთ მეფობას.

დავითი ვერ ჰბედავდა გამეფებას და ალექსანდრე იმპერატორისაგან დამტკიცებას ელოდა. ესე დაყოვნება კი ქართველებს დიდათ ადარდებდა, ნამეტურ სოლომონ ლეონიძეს. დასახელებულ ქართველთ შორის გამოჩნდნენ ცხარედ მსურველები რესპუბლიკანური წესის და ამისთვის მოლაპარაკენიც.

ამ კრებაზედ საუბარმან გაამხნევა იოანე სარდალი, გვარათ ორბელიანი. ეს მივიდა ბატონიშვილ დავითთან და მოახსენა

შემდეგი: „ბატონიშვილო და ბიძავ! ნუ ჰკარგავთ მეფობასა, მიბძანდით და გამოუცხადებთ რუსისა აქა ჯარსა წარვიდეს რუსეთად და თუ არა იქმს რუსის ღენერალი, ადვილია მისი აქედან განდევნა. დავიცვათ მეფობა და მანვამტკიცოდ მეფობით სახელი ჩვენი, როგორც გვიმეფნია, ისე ვიმეფოთ.

– 21 –

ამ დროს მოხდა ქართველ რესპუბლიკანელთა კრება. ამათ გადასწყვიტეს მეფობის მოშლა, აღარც დავითის გამეფება, არც იულონის, არც რუსეთის მთავრობის ცნობის, არამედ რესპუბლიკის დამყარების. ამ ნატვრის ცნობები თურმე დავით ბატონიშვილმა შეიტყო. მერე დავით ბატონიშვილმა მთელს საქართველოს თავად-აზნაურობას ასეთი სიტყვით მიმართა რესპუბლიკური მართვა-გამგეობის დაარსების შესახებ.

„ბატონნო საქართეელოს თავადნო და აზნაურნო! თქვენი მუჯადობა გვებოძა და მართებული ესე იყო, რადგან მეფე გიორგი მიიცვალა, აქ შემოყრილიყავით და გეტირნათ. წაგეხურათ და მერე დიდი დიდათ შეყრილიყავით და მცირედნი მცირეთა და საზოგადო ქვეყნის კეთილ მდგომარეობა გამოგერჩიათ. ამ ჟამათ ზოგიერთნი სხვანი და როსტომ ბეგთაბეგისშვილი, ელიზბარ თუმანისშვილის და დუცალ ბარათაშვილს შეგიერთად და რესბუბლიკის თავად გაგიკეთებიათ. „აბა სად მივდევ, ეს თქვენის კეთილშობილებისათვის დიდათ აუგია და სათაკილო“, ასე მოწმობს ამას პ. იოსელიანი „მეფე გიორგის ცხოვრება“-ში“.

დავით ბატონიშვილი რესპუბლიკური წესების დაარსების განზრახვამ დიდათ დააფიქრა. ეს ამბავი იმან რუსის გენერალს და მინისტრს კოვალენსკის გააგებინა. ამათ ზომები მიიღეს და ყველა რესპუბლიკანელები დააჭერინეს. დაპატიმრების დროს ბედშავ დავით ბატონიშვილმა ქართველებს და ნამეტურ რესპუბლიკანელს კიდევ მიმართა ასე:

„თუმცა ჩვენ, ქართველთ, მეფე გვყოლია, მაგრამ ხან ბიზანტიელთ მფარველობის ქვეშ ვყოფილვართ, ხან სპარსეთის და ხან ოსმალეთის. ბოლოს მეფე ერეკლემ საქართველო რუსეთის მფარველობის ქვეშ მისცა, ამიტომ მოიცადეთ, ნუ აჩ-

ქარებულხართ, მე 1782 წ. ტრაქტატის ძალით მალე დამამტ-
კიცებენ მეფეთ და მის შემდეგ მეც გავმეფდები და ძალაც მექ-
ნება, რუსეთის ნებადაურთვად ჩემი გამეფება არ შეიძლება, ჩვე-
ნი პირობა ასეთია, ანუ შეერთების ტრაქტათი“.

– 22 –

1801 წ. ბოლომდე ყველა რესპუბლიკანელები დააპატიმ-
რეს, დავითიც დამშვიდდა. ხოლო ლოდინით კი ვერას მო-
ესწრა და ბოლოს ტახტიც დაკარგა. 1782 წ. ტრაქტატის
მუხლებიც გაუქმებულ იქმნა, და მის მეოხებით საქართვე-
ლოს სამეფოც რუსეთის იმპერიას დაუკავშირდა უსამართ-
ლოდ. ასე უმწეოდ და შეუმჩნევლად გათავდა რესპუბლიკა-
ნელ ქართველთა შრომა და ცდა საქართეელოში. ამის მიზე-
ზები პირდაპირ დავით ბატონიშვილს ედება, სხვა არავის და
რუსის მთავრობის ახალს ძალას.

პატრი მავროს და მეფე ერეკლეს მიწერ-მოწერის შესა-
ხებ პატრი მიხ. თამარაშვილი შემდეგს ცნობებს იძლევა, რაც
სიტყით-სიტყვა მოგვყავს აქ:

„ეს პატრი მავრო ტფილისიდან წასულა ამავე წლის 15
ნოემბერს. ერეკლეს მისთვის პასპორტი 28 ოქტომბერს მიუ-
ცია. ეს პასპორტი დაწერილი ყოფილა ქართულად, თათრულათ
და ლათინურად. სამწუხაროდ, როგორც წინეთ გაგზავნილი
პატრი დომინიკე, ისე ეს პატრი მავროც გარდაცვლილა გზაში
მაისის თვეს, პოლონეთის ქალაქს ბერდიკცოვიაში (Berdiczo-
via). ამ ქალაქიდგან ორ პოლონელ კაპუცინს წაუღიათ ყველა
მისი ქაღალდები ვენას პაპის ნუნციოსთან და უთქვამთ მისთვის,
რომ მიცვალებულ პატრი მავროს საქართველოს მეფისაგან
ბევრი რამ ჰქონია პირად დაბარებულიო. ეს ნუნციო 19 იან-
ვარს 1783 წ. რომში უგზავნის წერილს, რომელიც კარდინა-
ლის შესახები ყოფილა და რომელიც მოვიყვანეთ ზემოთ; ხო-
ლო დანრჩენი წერილები მარტო ქართულად ყოფილა. ყვე-
ლა გადაუცია ვენის მთავრობისათვის. მაგრამ იქ ქართული
არავის სცოდნია და ამიტომ ვერ უთარგმნიათ წერილები. შემ-
დგომ აღარაფერი სჩანს, თუ რა უყვეს წერილებს და რა შე-
დეგი მოჰყვა მათ.

„ეს ამბავი ცხადია, ძრიელ საწყენად დაურჩა მეფე ერეკ-
ლეს, მეტადრე იმისგამო, რომ პატრი მავროს გამგზავრებას
უფრო სჩქარობდა ერეკლე და დიდის აღსწრაფებით მოელოდა

რაიმე შემწეობას ევროპიდგან ოსმალეთის წინაღმდეგ.

„უფროსმა პატრმა მაინც კი მისწერა რომს, თუ ერეკლე
მეფის წერილებმა მანდ მოაღწია, სათანადო განკარგულება
მოახდინეთო. ამისთანავე 19 ნოემბერს 1783 წ. რომში აუწ-
ყებს ტფილისის ამბავს“.

ბევრნი შეიძლებ ამის წინაღმდეგი გახდნენ, სთქვან, რომ
ქართველებისაგან რესპუბლიკის ცოდნა ტყუილიაო. აქ ტყუი-
ლი არასფერია, ამის სიმართლეს აი რა ამოწმებს კიდევ:

პავლე იმპერატორის სიკვდილის შემდეგ 1800 წ. გამეფ-
და ძე მისი ალექსანდრე პირველი. ამ იმპერატორმა დაარღვია
იმ ტრაქტატის პირობის მუხლები, რაც მეფე ერეკლემ და ეკა-
ტერინა იმპერატრიცამ შეკრეს 1783 წ. ამის დარღვევით
ალექსანდრე პირველმა საქართველო რუსეთის იმპერიასთან
შეერთებულათ გამოცხადა.

საქართველოს სამეფოს მოსპობა ბევრს ეწყინათ, ამიტომ
ქართლისა და კახეთის თავადები შეიკრიბნენ ერთათ, ალექსან-
დრე იმპერატორთან გასაგზავნათ საერთო მილოცვა დასწერეს
და თან დაავალეს თვისი თხოვნა და საქართველოს მეფობის
არ მოსპობა, არამედ მფარველობით დაცვა. ერთ წერილში მოყ-
ვანილია შემდეგი სტრიქონებიც:

„მოწყალეო ხელმწიფევ! (ალექსანდე I) როდესაც ერთგუ-
ლებისა ზედა თქვენისა იმპერატორებისა დიდებულებისა დაგვა-
ფიცეს, მყის გამოგვიცხადეს მანიფესტი, რომ ვითომ ჩვენ მოგ-
ვეხსენებიოს კარსა წინაშე დიდებულებისა თქვენისასა: მეფე
აღარ გვინდა და უმეფოთ შემოსულვართ მფარველობისა ქვეშე.

„ეს ფრანციულთ მსგავსი რესპუბლიკაობა იქნებოდა
ჩვენგან“.

ასე უარს ჰყოფენ ქართველ რესპუბლიკანელები რუსეთის
იმპერატორის ალექსანდრეს წინაშე, რომ ჩვენი უმეფობა ფრან-
ციულთ რესპუბლიკანობა იქნებოდაო".

მეფე ერეკლეს თანამედროვე პირია რუსეთის იმპერატ-
რიცა ეკატერინა მეორე. ეს ქალი ტომით ნემენცი იყო, მასთან

ევროპის ერთა განათლების მცოდნეც. ეს იმპერატრიცა თავის.
წერილებში საფრანგეთის რესპუბლიკანურ სარევოლიუციო
სამზადისს დიდის ბოროტის თვალით უმზერის. რობესპიერი,
დანტონი და მარატი მას საიდუმლო ყაჩაღებათ მიაჩნია, რაზ-
ბოინიკებათ. ეს ქალი მთელს ევროპის ხელმწიფეებს შესჩივის
საფრანგეთის რევოლუციონერთა შარლატნობას და ავაზაკობას.
იგი ყველას მოუწოდებს, რომ საფრანგეთის რევოლუციის საქ-
მეებში ჩავერიოთ და მათ ხემწიფეს დახმარება მივსცეთო, თო-
რემ ბოლოს მათ რევოლუციის შარლატნებისგან ჩვენც ცუდი
დღე დაგვადგებაო.

მადლობა ღმერთს, რომ მეფე ერეკლეს თავის წერილებ-
ში ასეთი არაფერი აქვს, თორემ თქვენი მტერი, ამისთვის ბე-
ვრნი აგვიკლებდენ. მეფე ერეკლეს ასეთი ზრდილობიანი წერი-
ლის წერის კილო ჩვენ ერთობ დიდ საქმეთ მიგვაჩნია და
მართლაც იგი ღირსია ყურადღების მიყრობის, რომ აზიელი
კაცი ისეთის კეთილ შობილურის თვალით უყურებს საფრან-
გეთის რევოლუციის სამზადისის დამწყებთა წადილს.